ავტორი:

ლევან ახვლედიანი

დაოსიზმი

წარმოგიდგენთ რესურსების ციკლს, რომლებიც მსოფლიო რელიგიების მიმოხილვას ეხება. ყველასათვის ნათელია, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს რელიგია საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა ეპოქასა თუ რეგიონში მოქმედი რელიგიების განხილვა. მითუმეტეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ამ თემების შესწავლას ძალიან მცირე ადგილი ეთმობა და ძირითადად განხილულია (მცირე დოზით) ე.წ. აბრაამისტული რელიგიები, კერძოდ, ქრისტიანობა და ისლამი. ჩვენ მიერ წარმოდგენილია რამდენიმე რელიგია. განვიხილავთ, მაზდიანობას, კონფუციანობას, დაოსიზმს, ინდუიზმს, სინტოიზმსა და სხვა. ეს რელიგიები წარმოდგენილი იქნება ცალ-ცალკე. თითოეულ მათგანს ახლავს შეკითხვები, რომელზეც პასუხის გაცემა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გაუადვილებს ამ რელიგიების შესწავლას.

დაოსიზმი, კუნფუციანობის შემდეგ, ჩინეთში გავრცელებული ყველაზე პოპულარული მოძღვრებაა. დაოსიზმის მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს დაოს პრინციპი, რომელიც შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „გზა“, „მიმართულება“ (სხვა მნიშვნელობით - „მეთოდი“ ან „უმაღლესი პრინციპი“). დაოსიზმის მიხედვით, დაო წარმოადგენს ყოველივე საწყისის საწყისს, „ის მარადიულია და არის მშობელი ყველა არსებისა“.

მეცნიერებს შორის დღემდე მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ (კონფუციანობის მსგავსად), არის თუ არა დაოსიზმი რელიგია, თუ ის მხოლოდ ფილოსოფიური მოძღვრებაა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ამ მოძღვრების საფუძველი უძველეს ჩინურ შამანიზმში უნდა ვეძებოთ, რომელიც საწყისს ეტაპზე როგორც ფილოსოფია ჩამოყალიბდა, ხოლო მოგვიანებით რელიგიისთვის დამახასიათებელი ნიშნები მიიღო.

გადმოცემის მიხედვით, ამ მოძღვრების შემოქმედი ლაო ძი გახლავთ. ტრადიცია გვეუბნება, რომ ის დაიბადა ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს და იყო წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი. ახალგაზრდობაში ლაო ძის ლოიანში (ერთ-ერთი ჩინური სამეფოს დედაქალაქი), არქივარიუსის თანამდებობა ეკავა, ხოლო შემდეგ განმარტოვდა და საკუთარ სოფელში გარდაიცვალა. სამწუხაროდ, განსხვავებით კონფუცისგან, ლაო ძის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ზოგ მეცნიერს ის ლეგენდარულ და არარეალურ პიროვნებადაც კი მიაჩნია. სამაგიეროდ, არსებობს უამრავი ლეგენდა და გადმოცემა ამ პიროვნების შესახებ. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ლაო ძი ჩაისახა მთვარის შუქის მეშვეობით, ამასთანავე დედა მას მუცლით 72 წლის განმავლობაში ატარებდა და ამიტომ უკვე მოხუცი დაიბადა.

ლაო ძის მოძღვრება გადმოცემულია ტრაქტატში, რომლის სათაურია: **„დაო დე ძინი“,**

რომელიც ითარგმნება როგორც „წიგნი გზისა და სათნოებისა“. ამ წიგნის შესახებ ლეგენდა გადმოგვცემს: ლაო ძიმ გადაწყვიტა შავ ხარზე ამხედრებულმა გადაელახა უღელტეხილი ხანგუ. ერთხელაც მისმა მსახურმა უარი თქვა ფილოსოფოსის მეგზურობაზე და ითხოვდა მისთვის იმ დანაპირები ხელფასის ანაზღაურებას, რომელიც შეთანხმების მიხედვით, დღეში 100 მონეტა, ლაო ძის უნდა გადაეხადა. რადგანაც ისინი უკვე 200 წელი მოგზაურობდნენ, ხელფასის ოდენობა ძალიან დიდი აღმოჩნდა, რომლის გადახდაც ფილოსოფოსს არ შეეძლო. ამის გამო მსახურმა იჩივლა სადგურის უფროსთან. ლაო ძიმ საკუთარი თავი გაიმართლა იმით, რომ შეთანხმების მიხედვით მსახურისთვის თანხა უნდა მიეცა მაშინ, როდესაც

მიაღწევდნენ ანსის ქვეყანას. რადგანაც ისინი ამდენი ხნის მანძილზე მოგზაურობდნენ, ფილოსოფოსმა მსახურს უკვდავების თილისმა მისცა, რათა დაეცვა ის დროის გამანადგურებელი გავლენისგან.

როდესაც ლაო ძიმ აუხსნა სადგურის უფროსს საქმის ვითარება, მან გამოიძახა მსახური, გაკიცხა ის და უბრძანა თავი დაეხარა მორჩილების ნიშნად. ამ დროს მსახურს პირიდან გადმოუვარდა პატრონის ნაჩუქარი უკვდავების თილისმა. როგორც კი ეს მოხდა, ის დაეცა და ჩონჩხად იქცა - ბუნების კანონი, რომელიც შეჩერებული იყო 200 წლის განმავლობაში, ისევ ამოქმედდა.

ნანახით გაოგნებულმა სადგურის უფროსი შეევედრა ლაო ძის სიცოცხლე დაებრუნებინა მსახურისთვის და აღუთქვა, რომ თვითონ გადაუხდიდა დაპირებულ ხელფასს. ფილოსოფოსმა ყურად იღო თხოვნა, აიღო თილისმა და ესროლა გარდაცვლილის ჩონჩხს, რის შედეგადაც მსახური ისევ გაცოცხლდა.

გამომშვიდობებისას ლაო ძიმ სადგურის უფროსს დაუტოვა წიგნი, რომელშიც მოკლედ გადმოსცა საკუთარი მოძღვრება. სწორედ ეს თხზულება წარმოადგენს „დაო დე ძინს“. ის წარმოადგენს მცირე ზომის ტრაქტატს, რომლის შინაარსი გადმოცემულია ციტატებისა და მცირე ზომის პარაგრაფების მეშვეობით.

„დაო დე ძინში“ ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც საფუძვლად დაედო დაოსიზმის ფილოსოფიას და რომელიც მოგვიანებით დახვეწეს ამ მოძღვრების სხვა წარმომადგენლებმა. მოკლედ აღვწეროთ დაოსიზმის ფილოსოფია:

დაო, რომელიც წარმოადგენს ამ ფილოსოფიური მოძღვრების ძირითად კატეგორიას, გულისხმობს ბუნების საყოველთაო კანონს, ყოველი არსების პირველმიზეზს, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი ცხოვრების საფუძველს. დაო არის განზოგადებული წარმოდგენა სამყაროს განვითარების კანონზომიერების შესახებ. „დაო დე ძინში“ ნათქვამია, რომ „ყოველი არსება, რომელიც დაოსგან წარმოიშვა, აკეთებს წრებრუნვას, რათა ისევ მას დაუბრუნდეს“. დაო არა მარტო პირველსაწყისია, არამედ - საბოლოო მიზანი და ყოფიერების დასასრული.

დაო მიუწვდომელია გრძნობადი აღქმისთვის: ის, რაც შეიძლება გავიგონოთ, დავინახოთ, შევიგრძნოთ და გავიგოთ - არ არის დაო. დაო არავის შეუქმნია, მაგრამ ყველაფერი მისგან მომდინარეობს და მასვე უბრუნდება. თუმცა, რასაც ის შობს გამოვლინდება დეს (სათნოება) მეშვეობით. ამიტომ, თუ დაო არის სამყაროს საყოველთაო არსი, მაშინ დე წარმოადგენს მის რეალობაში გამოვლინებას (ემანაცია[1]).

დაოსიზმის პრინციპებიდან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მათგანი:

სიმშვიდე და სულიერი კეთილდღეობა - დაოსიზმის მიზანს წარმოადგენს იმის ახსნა, თუ რას წარმოადგენს სამყარო და როგორ შეუძლია ადამიანს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება. ამგვარად „დაო დე ძინი“ წარმოადგენს პრაქტიკულ, ფილოსოფიურ ინსტრუქციას, რომლშიც მოცემულია ცხოვრებისეული სიმშვიდის მისაღწევის გზა. მიაღწიო სულიერ სიმშვიდეს იმ სამყაროში, რომელიც სავსეა ქაოსით, აბსურდულობითა და ტანჯვა-წამებით რთულ ამოცანას წარმოადგენს. ლაო ძიმ მოგვცა სიმშვიდის, როგორც განზომილების განსაზღვრება, რომლის დახმარებითაც ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ საკუთარი წარმატება. თავის მხრივ, პირადი წარმატება განისაზღვრება სოციალური ფასეულობების შეცნობითა და ფილტრაციით. საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების ეჭვქვეშ დაყენება არცთუ მარტივია. თუმცა, თუ ადამიანი დაოსიზმის ჭეშმარიტ გზას დადგება, ის აუცილებლად იტყვის უარს ისეთ სოციალურ სენზე, როგორიცაა სახელის მოხვეჭა და მატერიალური სიმდიდრის დაგროვება და სხვა. ეს მოძღვრება გვასწავლის იმას, რომ მშვიდი ფიზიკური არსებობა ყველაზე კარგად ამზადებს ადამიანის სულს იმქვეყნიური ცხოვრებისთვის. ფიზიკური, მენტალური და მეტაფიზიკური სიმშვიდე არის დაოსელთა ძირითადი მიზანი.

---

[1] რელიგიურ-ფილოსოფიური ტერმინი, აღნიშნავს ღვთაებრივი საწყისიდან სამყაროს მთელი მრავალფეროვნების გამოშლას, გამოსხივებას.

სამყაროს მთლიანობაში აღქმა - დაოსიზმი ქადაგებს რეალობის მთლიანობას. ეს სისტემა საკუთარ თავში აერთიანებს ინდივიდს იმ პრინციპთან, რომელიც ხილულ და უხილავ განზომილებებს აერთიანებს. ცნობილი დაოსური ნიშანი **იანი და ინი** წარმოადგენს შავისა და თეთრის უნივერსალურ ერთიანობას. ეს გამოსახულება არის ყველა საპირისპირო მოვლენის ერთიანობის სიმბოლო - მაგ., დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, ქალი და კაცი, სიცოცხლე და სიკვდილი და სხვა. ყველა ეს საპირისპირო გამოვლინებები წარმოადგენენ ერთი და იმავე პრინციპის განსხვავებულ ვარიაციებს, რომლებსაც ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. დააკვირდით იმასაც, რომ ორივე ფერი ზუსტად ერთნაირი სიდიდითაა წარმოდგენილი წრეში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამყაროში ურთიერთდაპირისპირებული ძალები წონასწორობაში უნდა იმყოფებოდნენ, რათა შესაძლებელი გახდეს ჰარმონიის მიღწევა. S - მოხაზულობა, რომელიც შავსა და თეთრს ერთმანეთისგან ჰყოფს, მიანიშნებს ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში დაუსრულებელ გადასვლაზე, ხოლო წრე - სამყაროს უსასრულო მოძრაობაზე.

რაც შეეხება თეთრ ფონზე ჩახატულ შავ წერტილს და პირიქით, ისინი, დაოსელთა აზრით უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რომ არ არსებობს სამყაროში აბსოლუტური სიწმინდე ან აბსოლუტური წყვდიადი, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მოძღვრების მიმდევრებმა. იანის და ინის ეს სიმბოლო სამყაროს ერთიანობის გამომხატველია.

ლაო ძის თქმით: „რაც მან ერთიანი დაინახა, იყო ერთიანი, ხოლო ის, რაც დაინახა განსხვავებული, ასევე იყო ერთიანი. იქ, სადაც ის ხედავდა ერთიანობას, თავი იჩინა მისმა ღვთაებრივმა ბუნებამ, ხოლო იქ სადაც ხედავდა განსხვავებას, თავი იჩინა მისმა ადამიანურმა ბუნებამ“.

***დაოს ემანაცია* (გამოვლინება)** - დაოსიზმი აღიარებს ადამიანის ინტელექტუალურ შეზღუდულობას და, აქედან გამომდინარე, უარს ამბობს კონცეფციაზე, რომელიც არ შეიძლება იყოს შემოწმებული პრაქტიკული გამოყენებისას. ასეთი პირობები დაოსიზმის მიმდევრებისგან მოითხოვს დააკვირდნენ უზენაესი ძალების კონკრეტულ გამოვლინებებს (დე) და უარი თქვან სპეკულაციასა და ვარაუდზე. ამ საქმეში დაოს მიმდევარს შეიძლება დაეხმაროს ბუნება. ბუნება წარმოადგენს დაოს კლასიკურ ემანაციას და წარმოადგენს ჭეშმარიტი დაოს ცხოვრების საუკეთესო მოდელს. ამავე დროს, ადამიანის ბუნება, რომელიც საზოგადოებაში ვლინდება წარმოადგენს არეულობისა და გაუგებრობის წყაროს და საჭიროებს ფრთხილ და კრიტიკულ განხილვას. სოციუმის მიერ ადამიანის აღზრდა მიმდინარეობს სოციალურ ფასეულობებზე დაყრდნობით, რომლებიც სასარგებლო და მისაღებია ამ საზოგადოებისთვის, მაგრამ უაზრო და საშიშია ინდივიდისთვის. ეს გაორება - ბუნების კანონების ჭეშმარიტება და საზოგადოებრივი ფასეულობების არაბუნებრიობა წარმოადგენს დაოსიზმის მთავარ პრინციპს.

ბუნება არ არის კეთილი - რა ძირითადი დასკვნა უნდა გამოიტანოს დაოს მიმდევარმა, როდესაც ბუნებას განიხილავს, როგორც ცხოვრების მოდელს? ლაო ძი პირდაპირ ამბობს - „ბუნება არ არის კეთილი“. ბუნება შორსაა ხელოვნური ჰუმანურობისგან, ამიტომ დაოს მიმდევარიც არ უნდა იყოს კეთილი და ის ნეიტრალურობისა და გულგრილობისკენ უნდა მიისწრაფოდეს.

საზოგადოება პიროვნების წინააღმდეგ - დაოსიზმი, განსხვავებით კონფუციანობისგან, ინდივიდუალისტური მოძღვრებაა. ლაო ძი ქადაგებს, რომ ხშირად ის ფასეულობები, რომელთა გაზიარებასაც ითხოვს საზოგადოება ინდივიდისთვის შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. დაოს მიმდევრის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თავისთვის სასარგებლოდ გამოარჩიოს ის ფასეულობები, რომლებიც საზოგადოებაშია გამეფებული. დაოსიზმის მიხედვით, ჰუმანურობა და სამართლიანობა ერთი შეხედვით შესაძლებელია წარმოადგენდნენ მიმზიდველ კატეგორიებს, თუმცა, რეალურად ინდივიდისთვის დამღუპველნი აღმოჩნდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ საზოგადოება ხშირ შემთხვევაში

ხელოვნურ და არა ბუნებრივ ნორმებს აწესებს, ამიტომ საყოველთაო სიყვარული და ჰუმანურობა, რომელსაც საზოგადოება ქადაგებს, ინდივიდისთვის არ არის მისაღები.

ჩაურევლობა - დაოსიზმის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ვუ-ვეი - ჩაურევლობა. ლაო ძის ფილოსოფია ურჩევს თავის მიმდევრებს მთელი ენერგია და დრო საკუთარი თავის სრულყოფილებასა და კეთილდღეობას მოახმარონ. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭირო არ არის სხვა ადამიანებისადმი არაფრისმომცემ წყალობაზე დროის ხარჯვა. დაოს მიმდევარი არ უნდა შეეცადოს შეცვალოს ის საგნები და მოვლენები, რომლებსაც ხელშესახები სარგებლობა არ მოაქვს მისთვის. მაგ., დაოსიზმის ჭეშმარიტი მიმდევარი არასოდეს გახდება პოლიტიკოსი, რადგანაც საზოგადოების შეცვლისა და გაუმჯობესების მცდელობა აბსურდული წამოწყებაა და მისი შედეგი ძალიან უმნიშვნელოა.

ჩაურევლობა შეიძლება გავიგოთ შემდეგნაირად: დაო საშუალებას აძლევს საგნებსა და მოვლენებს მიაღწიონ ჰარმონიას ბუნებრივი გზით, ასევე შეეგუონ სიტუაციას ან შეერწყან გარემოს. დაოს მიმდევარი არაფრის შეცვლას არ ცდილობს, ის გვერდიდან აკვირდება მოვლენებს და არ ერევა მათში. ჩარევის შემთხვევაში, თუნდაც კეთილი ზრახვების პირობებშიც კი, შესაძლებელია ვავნოთ მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, რაც ინდივიდს დააზიანებს.

დაოსიზმი ადამიანის სხეულს განიხილავს როგორც ჯამს ენერგეტიკული ნაკადებისა, რომლებიც გაერთიანებულია ერთგვარ სუბსტანციაში. სწორედ ამ სუბსტანციის სახელწოდებაა ცი. ის შეიძლება გავაიგივოთ სისხლთან ან „სიცოცხლის ძალასთან“. სხეულში ენერგია ცის ნაკადები შეესატყვისება ცის ნაკადებს გარე სამყაროში და მიდრეკილნი არიან ცვლილებისკენ. ცი ასევე წარმოადგენს სულის, გონებისა და აზროვნების ერთგვარ წმინდა სუბსტანციას. დაოსიზმი მიუთითებს სხეულის, სულისა და გარე სამყაროს მჭიდრო კავშირზე. ამ პოსტულატიდან მომდინარეობს ჩინური მედიცინის მრავალი პრინციპი. ცის ენერგიის მართვამ გზა გაუკვალა სუნთქვით ვარჯიშებს და მედიტაციას. კონცენტრაციის შემთხვევაში, დაოს მიმდევარი უნდა შეძლოს საკუთარი შინაგანი ცი შეურწყას ბუნების ენერგიის ცის.

ენერგია ცის პრინციპი ასევე გამოიყენება აკუპუნქტურაში, რომელიც ორგანიზმის აღდგენას უწყობს ხელს. ამისთვის იქმნებოდა ატლასები, რომელშიც აღნიშნული იყო ის უხილავი ხაზები, რომელთა გასწვრივაც მიედინება სისხლი და ენერგია ცი. ამ არხების მეშვეობით იკვებებიან სიცოცხლისთვის მნიშვნელოვანი ორგანოები და იანისა და ინის ბალანსს ინარჩუნებენ. ეს ატლასები რელიკვიად ითვლებოდა და საიდუმლოდ ინახებოდა.

როგორც უკვე ვთქვით, მრავალი მეცნიერის აზრით პირველყოფილი დაოსიზმი არ წარმოადგენდა რელიგიას, ის მხოლოდ ფილოსოფიური და ეთიკური მოძღვრება იყო. ამ მოსაზრების დასაცავად ისინი რიტუალების არარსებობას ასახლებდნენ. თუმცა, მოგვიანებით, შუა საუკუნეებში სიტუაცია შეიცვლა. დაოსიზმში უამრავი წესები და ღმერთების პანთეონიც შემოვიდა. გარდა დღესასწაულებისა, რომლებიც უამრავ წმინდანებს და გმირებს ეძღვნება, ეს რელიგია დიდ ყურადღებას აქცევს ცხოვრების ძირითადი ციკლების აღნიშვნას, როგორებიცაა დაბადება, ქორწინება, გარდაცვალება და სხვა, ასევე - მარხვის დაცვასა და ახალი წლის აღნიშვნას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, დაოსიზმი ულტრა ინდივიდუალისტური მოძღვრებაა. სწორედ ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი იმისა, რომ კონფუციანობა მასზე უფრო პოპულარულია ჩინურ საზოგადოებაში. ამ მოძღვრებამ დიდი გავლენა იქონია ჩინურ ლიტერატურაზე, მეცნიერებაზე, ფილოსოფიასა თუ ზოგადად კულტურაზე.

შეკითხვები:

1. დაოსიზმი მიხედვით, რას წარმოადგენს დაო?
2. რა არის დე?
3. იმსჯელეთ დაოსიზმის ისეთ პრინციპზე, როგორიცაა სიმშვიდე და სულიერი კეთილდღეობა.
4. რა არის დაოსიზმისთვის სამყაროს მთლიანობაში აღქმა და იანი და იანი?
5. რა მეთოდს იყენებს დაოსიზმი ჭეშმარიტების დასადგენად, რომელიც თავისუფალია სპეკულაციისგან?
6. რა განსხვავებაა ბუნებასა და ადამიანურ ბუნებას შორის დაოსიზმის მიხედვით?
7. რა განსხვავებაა კონფუციანობასა და დაოსიზმს შორის საზოგადოებისა და ინდივიდის როლის განსაზღვრისას?
8. რას გულისხმობს ჩაურევლობა (ვუ - ვეი) დაოსიზმის მიხედვით?
9. რა არის ცი?
10. თქვენი აზრით, რატომ მიმდინარეობს მეცნიერებს შორის დავა იმის შესახებ, არის თუ არა დაოსიზმი და კონფუციანობა რელიგია? სანამ ამ თემაზე იმსჯელებთ, აუცილებელია შეთანხმდეთ თვით რელიგიის განმარტებასა და მახასიათებლების შესახებ.